საქმე # 340210016001266397
საქმე №2/124-16

2750463483103

www.info.court.ge

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

(საქართველოს სახელით)

საჯარო შეტყობინების შესახებ

02.09.2016 წელი ქ. გურჯაანი

გურჯაანის რაიონული სასამართლოს

მოსამართლე რომან კუპატაძე

მოსარჩელე - სს „ფინკა ბანკი საქართველო"

წარმომადგენელი - გიორგი მჭედლიშვილი, მაია მეპურიშვილი

მოპასუხეები - ვალერი პაიჭაძე, გიორგი სოლომნიშვილი, იოსებ წიკლაური

დავის საგანი - ვალდებულების შესრულება

სასამართლომ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მოპასუხე იოსებ წიკლაურის დაუსწრებელი გადაწყვეტილების საჯარო შეტყობინებით ჩაბარების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 01 მარტს სარჩელით მომართა სს "ფინკა ბანკი საქართველოს" წარმომადგენელმა გიორგი მჭედლიშვილმა ვალერი პაიჭაძის, გიორგი სოლომნიშვილის და იოსებ წიკლაურის მიმართ ვალდებულების შესრულების თაობაზე.

სარჩელში აღნიშნულია, რომ 2015 წლის 17 მარტს ბანკსა და მოპასუხე ვალერი პაიჭაძეს შორის გაფორმდა №11921230004729LA ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც ვალერი პაიჭაძემ მიიღო 5000 ლარი 245 დღის ვადით. საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრა 31.95 % წლის განმავლობაში. სესხისა და სარგებლის გადაუხდელობის შემთხვევაში გადაუხდელი თანხა იბეგრებოდა საურავით, რაც ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეადგენს გადაუხდელი თანხის 1 %. ამასთან საურავის დარიცხვა ხორციელდებოდა მხოლოდ 60 კალენდარული დღის ვადაში. ზემოაღნიშნული სესხის ხელშეკრულება უზრუნველყოფილია გიორგი სოლომნიშვილთან და იოსებ წიკლაურთან გაფორმებული სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულებით, თავდებთა პასუხისმგებლობა განისაზღვრა 5000 ლარის ოდენობით.

2016 წლის 12 ივლისს გურჯაანის რაიონული სასამართლოს მიერ გამოტანილ იქნა

დაუსწრებელი გადაწყვეტილება და მოპასუხეებს ვალერი პაიჭაძეს, გიორგი სოლომნიშვილს და იოსებ წიკლაურს მოსარჩელე სს „ფინკა ბანკი საქართველოს“ სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ 3 558.19 ლარის გადახდა.

მოპასუხეებს ვალერი პაიჭაძეს, გიორგი სოლომნიშვილს და იოსებ წიკლაურს მოსარჩელე სს „ფინკა ბანკი საქართველოს“ სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისროთ სახელმწიფო ბაჟის 106.75 ლარის გადახდა, მოსარჩელის მიერ წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად.

2016 წლის 12 ივლისს მოპასუხე იოსებ წიკლაურს გაეგზავნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელში მითითებულ მისამართზე. 2016 წლის 15 ივლისის საფოსტო უკუგზავნილით ირკვევა, რომ მოპასუხეს ვერ ჩაბარდა სასამართლო გზავნილი, ვინაიდან იგი არ იმყოფებოდა აღნიშნულ მისამართზე. 2016 წლის 14 ივლისს განმეორებით იქნა გაგზავნილი დაუსწრებელი გადაწყვეტილება უკუგზავნილიდან ირკვევა, რომ ადრესატს კვლავ ვერ ჩაბარდა სასამართლო გზავნილი მისი მისამართზე არ ყოფნის გამო.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის თანახმად, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. სასამართლო შეტყობინება საჯაროდ ვრცელდება შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე, ან ვებგვერდზე განთავსებით, ან დაინტერესებული მხარის მოთხოვნის შემთხვევაში - მისივე ხარჯებით იმ გაზეთში, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებით.

სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს ზემოაღნიშნული ნორმით გათვალისწინებულ შემთხვევას: კერძოდ, საფოსტო შეტყობინების ბარათებით და საქმის მასალებით დადგენილია, რომ მოპასუხის ძირითადი მისამართია - გურჯაანის რაიონი სოფელი ვაზისუბანი თუმცა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაგზავნის მომენტისთვის მოპასუხე ამ მისამართზე აღარ ცხოვრობს.

შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია, მაგრამ მას გზავნილი ვერ ჩაბარდა იმის გამო, რომ ის არ იმყოფება სარჩელში მითითებულ მისამართზე, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების (დაუსწრებელი გადაწყვეტილების) საჯაროდ გავრცელების შესახებ შეტყობინების გურჯაანის რაიონული სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე განთავსების გზით.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8, 70-ე-78-ე, 184-ე, 201-ე, 284-ე-285-ე, 414-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

იოსებ წიკლაურს (პირადი №20001022302) საჯარო შეტყობინების გზით ეცნობოს გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 12 ივლისის დაუსწრებელი

გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი.

1. მიღებული იქნეს დაუსწრებელი გადაწყვეტილება მოპასუხეების მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის გამო და სს „ფინკა ბანკი საქართველოს“ სარჩელი, მოპასუხეების ვალერი პაიჭაძის, გიორგი სოლომნიშვილის და იოსებ წიკლაურის მიმართ, დაკმაყოფილდეს.

2. მოპასუხეებს ვალერი პაიჭაძეს, გიორგი სოლომნიშვილს და იოსებ წიკლაურს მოსარჩელე სს „ფინკა ბანკი საქართველოს“ სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისროთ 3 558.19 ლარის გადახდა.

3. მოპასუხეებს ვალერი პაიჭაძეს, გიორგი სოლომნიშვილს და იოსებ წიკლაურს მოსარჩელე სს „ფინკა ბანკი საქართველოს“ სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისროთ სახელმწიფო ბაჟის 106.75 ლარის გადახდა, მოსარჩელის მიერ წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად.

4. სასამართლოს გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ აღსასრულებლად იქნეს მიქცეული.

5. მოპასუხეებს გაეგზავნოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლი და განემარტოს, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის განახლების მოთხოვნით შეუძლია შემოიტანოს საჩივარი გურჯაანის რაიონულ სასამართლოში <u>10 (ათი) დღის</u> ვადაში იმ დღიდან, როდესაც მას საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით ჩაბარდება დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლი. ამ ვადის გასვლის შემდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში.

განჩინება საჯარო შეტყობინების შესახებ გამოქვეყნდეს გურჯაანის რაიონული სასამართლოს შენობაში, თვალსაჩინო ადგილზე. სასამართლოს შეტყობინება მოპასუხე იოსებ წიკლაურს ჩაბარებულად ეთვლება გურჯაანის რაიონული სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

მოსამართლე რომან კუპატაძე

ასლი დედანთან სწორია
გურჯაანის რაიონული სასამართლო
ხელმოწერა:
06. 02. 2016 წ.